დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სამართალი, მაგისტრატურა

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი

22.12.2025

დასკვნის წარდგენის თარიღი

18.02.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 23

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ამირანაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, N100, 18.04.2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 აპრილის N100 გადაწყვეტილებით. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს) და შესაბამისად, მისი სწავლების ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია. ხსენებული 120 ECTS კრედიტი ლოგიკურად გადანაწილებულია თეორიულ, პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებზე. თეორიული კომპონენტი, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან მოიცავს 63 ECTS კრედიტს. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის განკუთვნილია 17 ECTS კრედიტის მოცულობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს 40 ECTS კრედიტის მოცულობით.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია უმაღლესი განათლების მე-7 საფეხურისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად ფორმირებული პროგრამის სწავლის შედეგები.
პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამაში განსაზღვრულია რელევანტური სწავლების მეთოდები და თეორიული, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის დეტალურ სფეროს - წარმოდგენილია დეტალური სფეროს კოდით 0421, ხოლო მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია სამართლის მაგისტრი.
პროგრამის მიზნები მიღწევადი და რეალისტურია, ხოლო სწავლის შედეგები წარმოდგენილია ე.წ. აქტიური ზმნებით და განსაზღვრავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული საგანმანათლებლო პროგრამა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, 2025 წლის 11 დეკემბრის ბრძანებით - MES 4 25 0001775912 (ცვლილება №1798892), შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. არაგეგმიური მონიტორინგი და ექსპერტთა ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ზემოხსენებული ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა 2025 წლის 22 დეკემბერს.

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ შეთანხმებული და შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, შეხვდა კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციულ (მათ შორის, უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, სამართლის სკოლის დეკანს, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს), აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს (მათ შორის, საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრებს, რეცენზენტებს), პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრები კარგად ორგანიზებული იყო. შეხვედრები წარიმართა თანამშრომლურ გარემოში, კონსტრუქტიული დიალოგის ფარგლებში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ და შეფასებულ იქნა სამართლის სამაგისტრო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირველ სტანდარტთან, მე - 2 სტანდარტის 2.4 კომპონენტთან, მე-3 სტანდარტთან, მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტთან და მე - 5 სტანდარტის 5.1 კომპონენტთან შესაბამისობა. შესაბამისად, შესწავლილ იქნა სამართლის საგანმანთლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სასწავლო კურსები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სტუდენტის შეფასების მეთოდები, ფორმები და მექანიზმები, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფი, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებელ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით შემდეგნაირად აფასებს: სტანდარტი 1, სტანდარტი 3, სტანდარტი 4-ის 4.2 კომპონენტი და სტანდარტი 5-ის 5.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; სტანდარტი 2-ის 2.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. კერძოდ:

I სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

II სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტი (სტუდენტების შეფასება). ხსენებული კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

III სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები - შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან

IV სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტი (მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია). ხსენებული კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

V სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტი (შიდა ხარისხის შეფასება). ხსენებული კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა 6 რეკომენდაცია და 5 რჩევა.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, დაწესებულებამ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობიდან ამოიღოს რეცენზენტი, როგორც კომისიის წევრი.

  - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.

  - რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში გასწორდეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით.

  - რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად განიმარტოს ვინ იგულისხმება მეცნიერ-ხელმძღვანელში, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანებას იწვევს.

  - რეკომენდებულია რეცენზიის მომზადებისას ზედმიწევნით დაცული იყოს მაგისტრატურის დებულების დანართ N3-ით განსაზღვრული ფორმატი და სტრუქტურა.

  - რეკომენდებულია დაწესებულებამ საჯაროდ განათავსოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი კავკასიის უნივერსიტეტის გვერდზე იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

- **რჩევები**

  - სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, გარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, შედიოდნენ ასევე გარე ექსპერტები.

  - სასურველია, მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად გაიწეროს და განისაზღვროს აპელაციის საგანი (მაგ.: პროცედურული დარღვევები; შეფასების არგუმენტირებულობა; კრიტერიუმებთან შესაბამისობა) და კომისიის უფლებამოსილება.

- სასურველია გასწორდეს სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში არსებული ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ტექსტის შინაარსობრივ ბუნდოვანებას იწვევენ.

- სასურველია, კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად გაიწეროს მენტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

- სასურველია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეფასების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შეფასების შინაარსობრივი და ქულობრივი კომპონენტების შესაბამისობის, შეფასების ლოგიკური და არგუმენტირებული დასაბუთების, ასევე დაცვისა და აპელაციის პროცედურული ნაწილის გამართული ფუნქციონირების შეფასებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 22 პირს, რომელთაგან 11 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს (მათ შორის: 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი), ხოლო 11 - მოწვეულ პერსონალს. დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხი მოპოვებული აქვს 21 სამეცნიერო ხელმძღვანელს. სამეცნიერო ხელმძღვანელების წარმოდგენილი CV-ების მიხედვით, უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 3 პირს.

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების საერთო რაოდენობა შეადგენს 220-ს, რომელთაგან 79 გამოქვეყნებულია საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ სამეცნიერო ჟურნალებში. ამავე პერიოდში სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჯამურად შეადგენს 134-ს, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ფიქსირდება 85-ჯერ. დამატებით, სხვა მნიშვნელოვან სამეცნიერო/კვლევით მაჩვენებლად აღსანიშნავია პერსონალის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში, კერძოდ, პერსონალი მონაწილეობს 20-ზე მეტ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტსა და საგრანტო პროგრამაში.

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

რეკომენდაცია N1 - რეკომენდაცია რჩება უცვლელი, რადგან დაწესებულების პოზიცია არ არის საკმარისად დასაბუთებული და ვერ აქარწყლებს რეკომენდაციის საფუძვლიანობას. ექსპერტთა შეფასებით, რეცენზენტის მიერ წინასწარი წერილობითი შეფასების მომზადება და შემდგომში დაცვის კომისიის წევრად მონაწილეობა ქმნის პროცესუალურ და ინსტიტუციურ რისკებს, რომლებიც უკავშირდება შეფასების ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და ფუნქციების გამიჯვნას. კერძოდ, რეცენზენტის ფუნქცია გულისხმობს დამოუკიდებელი, ინდივიდუალური და წინასწარი წერილობითი დასკვნის მომზადებას, ხოლო დაცვის კომისია წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია საბოლოო შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

ამასთან, აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების 4[2] მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასებით. ფაქტობრივად, ერთი პირი (რეცენზენტი) ნაშრომს აფასებს ორჯერ: წერილობით დაცვამდე და დაცვის კომისიის წევრის სტატუსით. ასეთი დუბლირებით მცირდება მრავალსაფეხურიანი/მრავალეტაპიანი შეფასების სისტემის ეფექტიანობა. მიგვაჩნია, რომ დაცვის კომისიაში რეცენზენტის მონაწილეობა ქმნის ორმაგ ინსტიტუციურ გავლენას ერთი და იმავე სუბიექტის მხრიდან, რაც ზრდის მიკერძოების რისკსა და ამცირებს კოლეგიური განხილვის დამოუკიდებლობას.

ექსპერტთა მოსაზრებით, რეცენზენტის დაცვის კომისიიდან გამორიცხვა არ გულისხმობს მისი ინსტიტუციური როლის გაუქმებას. რეცენზენტი კვლავ შეინარჩუნებს უფლებას წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა, დაესწროს დაცვას, დასვას კითხვები და ჩაერთოს აკადემიურ დისკუსიაში. შეზღუდვა ეხება მხოლოდ საბოლოო კოლეგიურ გადაწყვეტილებაში მონაწილეობასა და ქულის დაწერას.

რეკომენდაცია N2 - რეკომენდაცია ძალაში რჩება, ვინაიდან იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან და პროპორციულ ღონისძიებას აპელაციის პროცესის ხარისხის, ობიექტურობისა და ინსტიტუციური სანდოობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, რეკომენდაციის ფორმულირება დაკორექტირდა მისი შინაარსის მეტად ნათლად და მკაფიოდ წარმოსაჩენად.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასებისა და აპელაციის მექანიზმები უნდა იყოს ინსტიტუციურად განცალკევებული. დაცვის კომისია ახორციელებს ნაშრომის აკადემიურ შეფასებას, ხოლო დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმის (იქნება ეს სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) ამოცანა უნდა იყოს შეფასების პროცესის

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

კანონიერებისა და პროცედურული სამართლიანობის დამოუკიდებელი შემოწმება. თავდაპირველ დაცვის კომისიაში მონაწილე წევრები, მიუხედავად პროფესიული კეთილსინდისიერებისა, ფლობენ წინასწარ ინფორმაციას და ჩართული იყვნენ შეფასების პროცესში, რაც ზრდის დადასტურებითი მიკერძოების რისკს, რადგან მათ საჩივრის განხილვისას და ახალი არგუმენტების შეფასებისას შესაძლოა დაუგეგმავად/უნებლიედ დაიცვან პირვანდელი პოზიცია.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ სავალდებულო არ არის აუცილებლად ცალკე, ფორმალურად ჩამოყალიბებული სააპელაციო კომისიის შექმნა. არსებითია არა სტრუქტურული ფორმა, არამედ დამოუკიდებელი, ნეიტრალური და ინსტიტუციურად გამიჯნული მექანიზმის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრის მიუკერძოებელ და ობიექტურ განხილვას. ასეთი მექანიზმის ფუნქცია უნდა იყოს: თავდაპირველი დაცვის პროცესში მონაწილე პირების გავლენის შემცირება; საჩივრის ნეიტრალური და მიუკერძოებელი შეფასება; შესაძლო პროცედურული დარღვევების იდენტიფიცირება; სტუდენტის უფლებების დაცვა; შეფასების სისტემის სანდოობის გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

დამოუკიდებელი მექანიზმი, პროცედურული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლოა უფლებამოსილი იყოს საკითხი დაუბრუნოს თავდაპირველ დაცვის კომისიას ხელახალი განხილვისთვის, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ კომისიას აქვს უშუალო მონაწილეობით მიღებული ინფორმაცია დაცვის პროცესში წარმოქმნილი გარემოებების შესახებ. ასეთ შემთხვევაში დაცული იქნება როგორც პროცედურული სამართლიანობა, ისე აკადემიური შეფასების კომპეტენცია შეუნარჩუნდება შესაბამის ორგანოს (დაცვის კომისიას).

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი სააპელაციო (ან ფუნქციურად ეკვივალენტური) მექანიზმის დანერგვა წარმოადგენს პროპორციულ და აუცილებელ ღონისძიებას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემის სამართლიანობის, ობიექტურობისა და ინსტიტუციური სანდოობის გასაძლიერებლად.

რეკომენდაცია N3 - ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის განმარტებას, რომლის მიხედვითაც მოქმედი დებულება უკვე უზრუნველყოფს აპელაციის ფარგლების საკმარის სიცხადეს, რადგან ის ეხება „შეფასებასთან დაკავშირებულ დასაბუთებულ პრეტენზიებს“ და განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმებს.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი არგუმენტაცია მიუთითებს, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს აპელაციის პრაქტიკული ხედვა. თუმცა, არსებული რეგულაციის ტექსტის ფორმულირება რჩება ზოგადი და არ ასახავს იმ დეტალურ ლოგიკას, რომელიც უნივერსიტეტის განმარტებაშია წარმოდგენილი.

გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაცია არ ითვალისწინებს ახალი მექანიზმის შექმნას ან არსებული სისტემის არსებით ცვლილებას (მოიაზრებს მხოლოდ მოქმედი რეგულაციის ტექსტის დაზუსტებას და სისტემატიზაციას), ის შეიძლება გადატანილ იქნას რჩევებში.

რეკომენდაცია N4 - რეკომენდაცია რჩება უცვლელი. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ იზიარებს რეკომენდაციას იმ ნაწილში, რომელიც ეხება დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებული ჩანაწერების ურთიერთშეჯერების აუცილებლობას. ამასთან, განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხს განიხილავს როგორც ტერმინოლოგიურ და რედაქციულ დაზუსტებას და არა როგორც დაცვის კომისიის მოქმედი მოდელის შინაარსობრივ პრობლემას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ რედაქციული ან ტერმინოლოგიური დაზუსტების საჭიროებით. რეკომენდაციის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ დებულებაში არსებული ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების ტექნიკურ გასწორებაში, არამედ დაცვის კომისიის შემადგენლობის მოდელის შინაარსობრივ გადახედვაში. ექსპერტთა პოზიციის მიხედვით დაცვის კომისიის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

რეკომენდაცია N5 - რეკომენდაცია რჩება უცვლელი. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ე.წ. „ჩარჩენილი“ ტერმინი „მეცნიერ-ხელმძღვანელი“ შეიცვლება დებულებით გათვალისწინებული ტერმინით „სამეცნიერო ხელმძღვანელი“ და საკითხს განიხილავს როგორც ტერმინოლოგიურ და რედაქციულ დაზუსტებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერმინოლოგიური სიზუსტის უზრუნველყოფით. არსებითი გარემოებაა ის, რომ სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად (რაც დასტურდება უნივერსიტეტის საპასუხო წერილით), სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის სამეცნიერო ხელმძღვანელი (მოხსენიებულია ტერმინით „მეცნიერ-ხელმძღვანელი“). თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი არის დაცვის კომისიის წევრი, იგი მონაწილეობს სტუდენტის საბოლოო შეფასებაში. აღნიშნული გარემოება წარმოშობს როლების გადაკვეთის რისკს, ვინაიდან სამეცნიერო ხელმძღვანელი უშუალოდ მონაწილეობს ნაშრომის მომზადების პროცესში. შესაბამისად, იგი წარმოადგენს სტუდენტის აკადემიური საქმიანობის მენტორსა და მხარდამჭერს და ამავე დროს, მონაწილეობს შეფასების საბოლოო კოლეგიალურ გადაწყვეტილებაში. ექსპერტთა შეფასებით, ეს პრაქტიკა არ შეესაბამება როლების გამიჯვნისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს და სწორედ ეს წარმოადგენს რეკომენდაციის შინაარსობრივ საფუძველს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის მითითებას ტექნიკურ ხარვეზებზე (დაუმთავრებელი წინადადებები, გამეორებული სიტყვები და სხვ.), ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ აღნიშნული ხარვეზები დასკვნაში დამოუკიდებელ კონტექსტშია განხილული და უკავშირდება ტექსტის რედაქციულ სიზუსტეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მხოლოდ „მეცნიერ-ხელმძღვანელის“ ტერმინის ჩანაცვლება „სამეცნიერო ხელმძღვანელის“ ტერმინით ვერ უზრუნველყოფს რეკომენდაციის მიზნის მიღწევას. აუცილებელია დებულებაში მკაფიოდ განისაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსი და გამოირიცხოს მისი მონაწილეობა სტუდენტის საბოლოო შეფასებაში დაცვის კომისიის წევრის სტატუსით.

რეკომენდაცია N6 - უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას, შესაბამისად რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N7 - უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას, შესაბამისად რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N8 - ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მენტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დეტალური გაწერა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პროცესის გამჭვირვალობასა და სტუდენტთა კვალიფიციურ მხადაჭერას, თუმცა მოცემულ ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს პროგრამის ფუნქციონირების არსებით ან კრიტიკულ ხარვეზს. ხსენებულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას მიეცა რჩევის სახე.

რეკომენდაცია N9 - მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია ხარისხის

უზრუნველყოფის დეპარტამენტის ჩართულობის გაძლიერება სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეფასების კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შეფასების შინაარსობრივი და ქულობრივი კომპონენტების შესაბამისობის, შეფასების ლოგიკური და არგუმენტირებული დასაბუთების, ასევე დაცვისა და აპელაციის პროცედურული ნაწილის გამართული ფუნქციონირების შეფასებას. თუმცა, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არ იკვეთება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის სისტემური არქონა ან მისი ფუნქციონირების კრიტიკული ჩავარდნა. შესაბამისად, რეკომენდაცია გადავიდა რჩევის ფორმატში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	სრულად შესაბამისი
1.1	პროგრამის მიზნები	სრულად შესაბამისი
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	სრულად შესაბამისი
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	სრულად შესაბამისი
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	სრულად შესაბამისი
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	სრულად შესაბამისი
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	მეტწილად შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისი
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	სრულად შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	სრულად შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	სრულად შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	სრულად შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	სრულად შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	სრულად შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	სრულად შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას და ორიენტირებულია ცოდნის გაღრმავებასა და აკადემიური კომპეტენციების გაღრმავებაზე, კვლევითი და ანალიტიკური უნარების გამომუშავებასა და პროფესიული ღირებულებებისა და ეთიკური პასუხისმგებლობების გააზრებაზე. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს, სამართლის დარგის, მაგისტრატურის საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. გაუღრმავოს სტუდენტს ცოდნა კერძო, საჯარო, სისხლის, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით საკუთარი ინტერესის - არჩეული მოდულის ფარგლებში, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით, ან/და შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, პროფესიული ინგლისურისა და თარგმანის შესაძლებლობების გაზრდით.
2. შესძინოს სტუდენტს შესაბამისი მიმართულებით თანამედროვე მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული კვლევის განსახორციელებლად აუცილებელი უნარები, რომელიც მიმართული იქნება ქართული სამართლის სრულყოფისა და განვითარებისაკენ, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების ეროვნულ სამართალსა და პრაქტიკაზე ზეგავლენის შემეცნებით, კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ ცოდნის გაძლიერებით.
3. შემატოს პროფესიას კომპლექსურად, ობიექტურად და ჭეშმარიტი ღირებულებების საფუძველზე მოაზროვნე იურისტები, რომელთაც ძალუძთ რთული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა ისე, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებათა უზენაესობა, კერძო ავტონომიის თავისუფლება და საჯარო ინტერესების თანაზომიერების, განსაზღვრულობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის პრინციპების დაცვით.

შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია კერძო, საჯარო, სისხლისა და საერთაშორისო

სამართლის მიმართულებით ღრმა ცოდნის განვითარებაზე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული მიზანი უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიურ მომზადებას და სამართლებრივი აზროვნების სისტემურ ჩამოყალიბებას, რაც შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კვლევის უნარების განვითარებას, მათ შორის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და ქართული სამართლის განვითარებისკენ მიმართულ შედეგებზე ფოკუსირებას. ასოცირების შეთანხმების ეროვნულ სამართალსა და პრაქტიკაზე ზეგავლენის გააზრება აძლიერებს პროგრამის კვლევით პოტენციალს. პროგრამის მიზნები მკაფიოდ უსვამს ხაზს ღირებულებებზე დაფუძნებული იურისტის ფორმირებას, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ადამიანის უფლებათა უზენაესობის, კერძო ავტონომიის თავისუფლებისა და საჯარო ინტერესების თანაზომიერების, ეფექტიანობისა და განსაზღვრულობის პრინციპების დაცვით. ეს კომპონენტი პროგრამას ანიჭებს მკაფიო საზოგადოებრივ და ეთიკურ განზომილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს, ასევე, რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან, ღირებულებებთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, რაც უნივერსიტეტის მისიის ცენტრალური კომპონენტია; ეთიკაზე, ადამიანის უფლებებზე და სამართლებრივ ღირებულებებზე აქცენტი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის ღირებულებებს - აკადემიურ პატიოსნებას, სოციალურ პასუხისმგებლობასა და დემოკრატიულ ფასეულობებს; კომპლექსური და ობიექტური აზროვნების განვითარება ეხმიანება უნივერსიტეტის მიზანს, აღზარდოს კრიტიკულად მოაზროვნე და საზოგადოებრივად აქტიური კურსდამთავრებულები. პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ინტეგრირებულ განვითარებას, ასევე პროგრამა ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ამოცანას, რომელიც სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. საერთაშორისო სამართლის ინტეგრირება, შედარებით სამართლებრივი ანალიზი და პროფესიული ინგლისურისა და თარგმანის უნარების განვითარება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას და კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზანს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია კავკასიის სამართლის სკოლის დებულებასთან, რომლის ძირითადი საქმიანობაა:

1. სტუდენტებისა და სკოლის აკადემიური პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
2. სტუდენტებისათვის თეორიული ცოდნის მიცემა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

3. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაცია, უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარების და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა;
4. ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების და ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოების დემოკრატიის, სამართლიანობის და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციისათვის ზომების მიღება, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

სკოლა მოქმედებს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმებით, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულებისა და ზემოთ ხსენებული დებულების საფუძველზე. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით. დებულება განსაზღვრავს სკოლის ძირითად საქმიანობას, არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათ უფლება-მოვალეობებს, მართვის პრინციპებს, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სკოლის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა სკოლას დაქვემდებარებული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამართლის სკოლის დებულება;
- კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	სრულად შესაბამისი

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამით ნათლად არის განსაზღვრული არა მხოლოდ პროგრამის მიზანი ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებიც. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის კომპეტენციების შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სამართლის დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა აქვს 6 სწავლის შედეგი, რომლებშიც ასახულია კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული სამართლის დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნები.

პროგრამის მიხედვით სწავლების შედეგებია:

1. **ცოდნა და გაცნობიერება:**
   - აღწერს კერძო, სისხლის, საჯარო ან საერთაშორისო სამართლის ურთიერთობათა მოწესრიგების თეორიულ-დოგმატურ და სისტემურ თავისებურებებს შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ასევე სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების ეტიმოლოგიას, მათი გადაწყვეტის მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და შინაარსობრივ საკითხებს, დოქტრინისა და სამოსამართლო სამართლის განვითარების ადგილობრივ ან/და უცხოურ ტენდენციებს, აკადემიური და სამოსამართლო ეთიკის წესებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდებს.
   - ხსნის და განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის, ევროკავშირის სამართლის ზეგავლენას ეროვნული სამართლის განვითარებაზე, შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას.

2. **უნარი:**
   - იდენტიფიცირებას უკეთებს თეორიულ, სისტემურ და პრაქტიკულ პრობლემებს ნორმატიული მოწესრიგებისა თუ სამართალგამოყენების სიბრტყეებში, სთავაზობს მათი გადაწყვეტის ახალ გზებს და ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების, რეკომენდაციების დემონსტრირებას, პროფესიულ და ფართო საზოგადოებაში წერილობითი და ზეპირი ფორმით.
   - სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს კვლევას, მოიპოვებს სამართლებრივ და სხვა რელევანტურ მონაცემებს, ნორმათა კლასიკური განმარტების, შედარებით სამართლებრივი,

ინტერდისციპლინური ანალიზის, რთული სამართლებრივი შემთხვევების შეფასების საფუძველზე, გამოაქვს ადეკვატური დასკვნები, რაც იძლევა შესაბამისი მიმართულებით სამართლის დახვეწისა და განვითარებისათვის ხელშესახები შედეგების წარმოჩენის შესაძლებლობას.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- თვალყურს ადევნებს სამართლის განვითარების ტენდენციებს, მოიძიებს და ამუშავებს ახალ ინფორმაციას, აქცევს მას კვლევით ან/და პრაქტიკულ პროფესიულ პროდუქტად და ამ გზით წარმოაჩენს მუდმივი, დამოუკიდებელი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ პოტენციალს.
- აკადემიური პატიოსნების წესების დაცვით კვლევის განხორციელებისას ან/და პრაქტიკული საქმიანობისას დემონსტრირებას უკეთებს პროფესიული (მათ შორის, სამოსამართლო) ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების შემეცნების ფაქტს, მათი განვითარებისა და დახვეწის პროცესში მონაწილეობისა და თანამონაწილეობის უნარსა და მზადყოფნას, დემოკრატიული და სამართლებრივი ფასეულობებისადმი პატივისცემას.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი და რეალისტური.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	სრულად შესაბამისი

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დანერგილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები შეფასების ინდიკატორები და ინდიკატორების შეფასების რუბრიკა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია პირველ ეტაპზე სწავლის შედეგები ფორმულირდეს ისე, რომ იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ხსენებულ კომპონენტს პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს. პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან თავსებადობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტს შექმნილი აქვს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც აჩვენებს თანაკვეთასა და კანონზომიერებებს ხსენებულ ორ კომპონენტს შორის. სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის კურიკულუმი აიგოს ისე, რომ იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და ხელს უწყობდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. იმისთვის, რომ დადგინდეს პროგრამის კურიკულუმის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, პროგრამის აკადემიურ გუნდს შექმნილი აქვს ე.წ. "კურიკულუმის რუკა", სადაც ნაჩვენებია თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის თავსებადობა ამა თუ იმ სწავლის შედეგთან და სწავლის შედეგის მიღწევის დონეები - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. სწავლის შედეგი ფასდება განმტკიცების/მაღალი თავსებადობის სასწავლო კურსებში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ათვისების სისტემური დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევის ხარისხის ობიექტურად დადგენას. პირდაპირი შეფასების ფარგლებში ფასდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის მიხედვით და მათი შესაბამისობა პროგრამის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს და შედეგების სანდოობას. მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში განსაზღვრული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში, რაც შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევის დინამიკის დაკვირვებას დროში.

სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში, კონკრეტული აკადემიური ჯგუფის მოსწრების შედეგების მიხედვით, ჯგუფში დარეგისტრირებული სტუდენტების (არანაკლებ 10 სტუდენტის) მინიმუმ 80% გადალახავს შესაბამისი კურსით განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და მიიღებს კრედიტს. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსი ერთზე მეტ აკადემიურ ჯგუფში ხორციელდება, კურსის შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და მონაცემების შედარებადობას.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც აქვთ სულ მცირე ერთი საერთო სწავლის შედეგი. პროგრამა ჩაითვლება დასახულ სწავლის შედეგებზე გასულად, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისათვის გამოთვლილი ჯამური საშუალო მაჩვენებელი აღემატება 80%-ს.

სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პროცესი ეფუძნება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილ შეფასების კომპონენტებს, რომელთა საშუალებითაც იზომება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა. შეფასების პირდაპირ მექანიზმებად გამოიყენება, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი ინსტრუმენტებით:

- ქვიზები – სამართლებრივი ტერმინოლოგიის, ცნებებისა და ნორმატიული მასალის ოპერატიული ათვისების შესაფასებლად;
- ტესტირება (შუალედური და დასკვნითი) – თეორიული ცოდნის, ნორმათა სისტემური გააზრებისა და მათი გამოყენების უნარის შესაფასებლად;
- შუალედური გამოცდები – კომპლექსური სამართლებრივი საკითხების გააზრებისა და ანალიზის უნარის შესამოწმებლად;
- რეფერატები და წერილობითი ნაშრომები – კვლევითი უნარების, არგუმენტაციის, შედარებითსამართლებრივი ანალიზისა და აკადემიური წერის კომპეტენციის შესაფასებლად;
- პრეზენტაციები – სამართლებრივი პოზიციის ლოგიკური ფორმულირებისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისათვის;
- ქეისების ანალიზი და პრაქტიკული დავალებები – სამართალგამოყენებითი უნარების, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის ალტერნატივების შეფასების

მიზნით;

- დასკვნითი გამოცდა – სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული ყველა შესაბამისი სწავლის შედეგის ინტეგრირებული შეფასებისთვის.

თითოეული სწავლის შედეგის შემთხვევაში წინასწარ განისაზღვრება, შეფასების რომელი კომპონენტი ან კომპონენტების კომბინაცია ასახავს ყველაზე ზუსტად კონკრეტული შედეგის მიღწევის დონეს. ასევე, აღსანიშნავია, რომ თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული შეფასების ინდიკატორები და ინდიკატორების შეფასების რუკები (ე.წ. რუბრიკები). მიღებული მონაცემები გამოიყენება პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, როგორც მტკიცებულება სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ და საფუძვლად უდევს პროგრამის შინაარსისა და სწავლა-სწავლების მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში გამოიყენება:

- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით;
- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით).

აღნიშნულ მონაცემებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები. ამ მხრივ აღსანიშნავია საგნებზე დაკვირვებისა და სწავლის შედეგებთან მიმართებით 2023-2025 წლის დასკვნები და რეკომენდაციები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის სრულ ციკლს, რომელიც გამოიყენება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. სწავლის შედეგების შეფასების ეს მექანიზმი თანმიმდევრულად და ეფექტიანად ვრცელდება პროგრამის ყველა კომპონენტზე, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომებზეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- დაკვირვების ინსტრუმენტი - კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	სრულად შესაბამისი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. ის აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის მისი სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, ხოლო შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების ერთობლიობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთგვარი ინსტრუმენტია.

სამართლის სკოლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - არა უმეტეს 75 ECTS კრედიტს, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ისე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. სამართლის სკოლის მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19

კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 7 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც მაგისტრანტმა შეიძლება, დააგროვოს „დამატებითი კრედიტები, რომლის რაოდენობა, განისაზღვრება ამ მუხლის წლიური ზღვრული კრედიტების მაჩვენებლის ფარგლებში“. სამაგისტრო პროგრამა შედგება თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული და კვლევითი კომპონენტისაგან, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (63 ECTS კრედიტი), პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართულ კომპონენტს (17 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (40 ECTS კრედიტი). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადის (2 წელი) დასრულების შემდეგ სათანადო თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს დაასრულოს მაგისტრატურაში სწავლა მომდევნო ექვსი სემესტრის განმავლობაში. ყოველი ასეთი სემესტრის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება სემესტრში ასათვისებელი კრედიტებიდან გამომდინარე, ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებული წლიური გადასახადის მიხედვით. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, შესაბამისად, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი/საგანი) არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. სასწავლო კურსებში მოცემული შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულია, რომ კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება მის მიერ დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების რეგულაცია”;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	სრულად შესაბამისი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგება თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული სასწავლო კურსებისგან და კვლევითი კომპონენტისაგან, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. მოდულებს შორის ფართო არჩევანი სტუდენტს საშუალებას აძლევს თავადვე ჩამოაყალიბოს საკუთარი პროფილი: აქცენტი გააკეთოს/შეარჩიოს კომპონენტები სავარაუდო დასაქმების სფეროსათვის ყველაზე საჭირო კომპეტენციების გამომუშავების მიზნით. სტუდენტმა არჩეული სამართლის დარგის მოდულიდან უნდა გაიაროს სავალდებულო საგანი, ასევე, ამავე მოდულში გაიაროს ნებისმიერი სხვა ორი საგანი. სტუდენტს მოეთხოვება ინგლისურენოვანი კომპონენტის მოდულიდან ერთ-ერთი საგნის გავლა. სტუდენტს შეუძლია დარჩენილი კრედიტების ფარგლებში გაიაროს საგნები არჩეული სპეციალიზაციის მოდულში, ან სხვა მოდულში ან თავისუფალი კრედიტების ნაწილში.

თეორიული, დარგობრივი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ დარგის სპეციფიკური ცოდნის დაუფლებას. თეორიული კომპონენტის მიზანია არჩეული მოდულის (სისხლის, კერძო ან საჯარო სამართალი) ფარგლებში სტუდენტს მისცეს ღრმა, სისტემური და ინტეგრირებული ცოდნა სამართლის შესაბამისი დარგის თეორიულ-დოგმატური საფუძვლების, სამართლებრივი ინსტიტუტების, ნორმათა სისტემური ურთიერთკავშირის, დოქტრინალური მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების ტენდენციების შესახებ. კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სამართლებრივი პრობლემების გააზრებას შედარებითსამართლებრივ და საერთაშორისო კონტექსტში, მათ შორის ევროკავშირის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენის გათვალისწინებით, ასევე აკადემიური და სამოსამართლო ეთიკის ნორმების გაცნობიერებას.

პრაქტიკული კომპონენტის სასწავლო კურსების მიზანია სტუდენტს განუვითაროს სამართალგამოყენებითი უნარები, რაც მოიცავს რთული სამართლებრივი შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების შემუშავებას. კომპონენტი ორიენტირებულია სასამართლო პრაქტიკის, ნორმატიული აქტების ინტერპრეტაციის, შედარებითსამართლებრივი და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებაზე, აგრეთვე სამართლებრივი დასკვნების, რეკომენდაციებისა და არგუმენტების პროფესიულ და საზოგადოებრივ სივრცეში წერილობითი და ზეპირი ფორმით წარდგენის უნარის ჩამოყალიბებაზე. პრაქტიკული კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტის პროფესიულ ავტონომიურობას, პასუხისმგებლობასა და სამართლებრივი ღირებულებების დაცვაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებების მიღებას.

სამეცნიერო კომპონენტის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი სამართლის აქტუალურ პრობლემატიკაზე, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით. კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სამართლებრივი და რელევანტური ემპირიული მონაცემების მოძიებასა და ანალიზს, დოქტრინალური, შედარებითსამართლებრივი და პრაქტიკული მასალის სინთეზს და ისეთი დასკვნების ფორმირებას, რომლებიც მიმართულია ქართული სამართლის დახვეწისა და განვითარებისაკენ, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეროვნულ სამართალსა და პრაქტიკაზე ზეგავლენის გააზრებით. სამეცნიერო კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტის მუდმივი პროფესიული და აკადემიური განვითარების პოტენციალის წარმოჩენას.

სილაბუსებით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები მიმართულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღებაზე, არამედ პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

შეჯამების სახით, სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და სასწავლო მასალა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება;
- კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის კერძო სამართლისა და დარგობრივი სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	სრულად შესაბამისი

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**	აირჩიეთ შესაბამისი

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლიანი და გამჭირვალე შეფასების სისტემის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი დაწესებულებისა და სტუდენტებისათვის.
სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი სილაბუსების შესაბამისად, წარმოდგენილია გამოკითხვის სხვადასხვა ფორმები როგორიცაა: წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდა. მათ შორის, ზოგიერთი სილაბუსი ითვალისწინებს იმიტირებული პროცესს, რაც საკმაოდ დადებითი ფაქტორია, რადგან სტუდენტები მეტად განვითარდებიან პრაქტიკული მიმართულებით.
გარდა თეორიული ნაწილის განვითარებისა, პროგრამის დასასრულს, მაგისტრატურის სტუდენტს ევალება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და კომისიის წინაშე დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც სტუდენტი რეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე და ირჩევს აღნიშნულ საგანს, დაწესებულების მხრიდან, სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით დებულებებიდან კონკრეტული მუხლები, პუნქტები, რომლებიც არის აუცილებლად მათ მიერ დასაცავი. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია დაწესებულებას ვებ-გვერდის საშუალებით, საჯაროდ ჰქონდეს გამოქვეყნებული მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის სტუდენტებისათვის იქნება ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი. დაწესებულების მხრიდან დებულებების გაგზავნა დადებითი ფაქტორია, მაგრამ რეკომენდებულია საჯაროდ იყოს იგი ხელმისაწვდომი.

დაწესებულების "სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების" მე-19 მუხლის შესაბამისად: ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე, წინამდებარე დებულებით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით. ამავე დებულების მე-20 მუხლი განსაზღვრავს შეფასებას და აღნიშნულია, რომ სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგინოს და დაიცვას რეგისტრაციიდან 2 სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომი, ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს რეცენზენტ(ებ)ის შეფასებასა და

დაცვაზე მიღებულ კომისიის სხვა წევრების საშუალო შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 60 ქულას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). მას შემდეგ, რაც სტუდენტი მოამზადებს ნაშრომს, ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად იგზავნება სამართლის სკოლის უფლებამოსილ პირთან, რომელიც ნაშრომის ფორმალურ შესაბამისობას ამოწმებს. შემოწმების შემდეგ, ნაშრომი პლაგიატის შემოწმებას გადის სპეციალური პროგრამის "Turnitin"-ის საშუალებით. აღნიშნული საკითხების დადებითად დასრულებისა და ნაშრომზე სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემდეგ, (ხელმძღვანელი წერს დადებით რეკომენდაციას ნაშრომის საჯარო დაცვაზე გატანის შესახებ) ენიშნება რეცენზენტი/რეცენზენტები, რომლებიც "სამართლის სკოლის დებულების" მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად წერენ რეცენზიას.
ამავე დებულების 21-ე მუხლი განსაზღვრავს რეცენზენტის შეფასების წესს, სადაც აღნიშნულია, რომ 100 ქულიდან, 40 ქულით ფასდება სტუდენტი რეცენზენტის მიერ. შესაბამისად, რეცენზენტის მიერ წინასწარ, როგორც დასკვნის სახით, ისე ქულობრივად ფასდება სტუდენტი. რეცენზენტი, გარდა იმისა, რომ აფასებს სტუდენტის ნაშრომს, მის რეცენზიაში უნდა აისახოს შემდეგი საკითხები:
ა. ნაშრომის დასახელება;

ბ. სამაგისტრო თემის აქტუალურობა;

გ. კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);

დ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ხარისხი;

ე. ნაშრომისათვის დაცვაზე რეკომენდაციის მიცემა/არ მიცემის დასაბუთება;

იმავე დებულების 22-ე მუხლის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის: მეცნიერ-ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დარგის სპეციალისტი. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა. აღნიშნული მუხლის ტერმინი "მეცნიერ-ხელმძღვანელი" ბუნდოვანებას ქმნის, რადგან არ არის ზუსტად მითითებული რა პოზიციის/ფუნქციის (სტუდენტთან მიმართებით) მქონე წევრს ნიშნავს. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად შესაძლებელია ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსაც მოიაზრებდეს, მაგრამ სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების მე-17 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, "მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ მონაწილეობს მაგისტრანტის ქულით შეფასების პროცესში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში...". მოცემული პუნქტი ცალსახად მიუთითებს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ არის დაცვის კომისიის წევრი. ამ ჩანაწერებს განამტკიცებს 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი - "სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების გარდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი და რეცენზენტი (რეცენზენტები). თუმცაღა, ზემოთხსენებული ჩანაწერები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია და ბუნდოვანებას ქმნის, რადგან არ არის ცალსახა ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს მეცნიერ-ხელმძღვანელში, რომელიც არის კომისიის წევრი.

ამასთან, დაცვის კომისიაში სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ბუნდოვანია რეცენზენტის მონაწილეობის საკითხიც. 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, რეცენზენტ(ებ)ი არის

დაცვის კომისიის წევრი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად *"სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების გარდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი და რეცენზენტი (რეცენზენტები)",* რაც ხსენებულ პირებს დაცვის კომისიის წევრობისგან გამორიცხავს. ეს ჩანაწერები ერთმანეთისგან ლოგიკურად ურთიერთგამომრიცხავია და ბუნდოვანს ხდის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის სტატუსს (კომისიის წევრები არიან თუ არა). მნიშვნელოვანია დაზუსტდეს სამეცნიერო ხელმძღვანელთან და რეცენზენტთა დაკავშირებული ჩანაწერები. მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი მათგანი არ იყოს დაცვის კომისიის წევრი და არ აფასებდეს სტუდენტს ქულობრივად.

დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ, დასკვნით სხდომაზე. რეცენზენტის მიერ წინასწარი შეფასება და მისი შემდგომი კომისიის წევრობა არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან, რადგან თუ კომისიის წევრს (რეცენზენტს) წინასწარ, დაწერილი აქვს შეფასება მისი კომისიაში ყოფნა ლოგიკას მოკლებულია, რადგან მას უკვე შეფასება დაწერილი აქვს და მისი შეცვლის შესაძლებლობა არ აქვს. აღნიშნული საკითხი, ასევე ვიზიტის ფარგლებში დაადასტურეს აკადემიურმა, მოწვეულმა პერსონალმა, სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, დაცვის კომისიის წევრებმა და რეცენზენტებმა. ამასთან, აღნიშნული საკითხი გამოკითხვის შესაბამისად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუს დროს გამოიკვეთა. რეცენზენტის კომისიაში ყოფნა შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს, რადგან მას უკვე შეფასება დაწერილი აქვს და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთიანობა და მთლიანობა ირღვევა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის, რომ სტუდენტის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, რეცენზენტი კითხულობს დასკვნას, რომლის შემდეგაც იმართება დისკუსია კომისიის წევრებსა და სტუდენტს შორის. ბუნდოვანია ჩანაწერი იმის შესახებ, რომ თუ რეცენზენტს უკვე შეფასება აქვს დაწერილი დისკუსიის მიზანი რა არის შემდგომ, რადგან დისკუსიის შედეგად ვერ შეიცვლება რეცენზენტის შეფასება. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს დაზუსტდა, სადაც მათ აღნიშნეს, რომ დისკუსიის მიზანია კომისიის სხვა წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება, იმის ჩვენება თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს დისკუსიაში შესვლა, პოლემიკა და ა.შ, მაგრამ აღნიშნული პროცესი ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული დებულებაში და არ არის ზუსტად გასაგები.

დაცვის პროცედურასთან ერთად, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხისა და აკადემიური სამართლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების გასაჩივრების გამჭვირვალე, დამოუკიდებელ და ობიექტურ მექანიზმს, რომლის არსებობა სტუდენტს აძლევს რეალურ შესაძლებლობას, რომ მისი აკადემიური ნაშრომი და შეფასება გადაიხედოს მიუკერძოებელი სუბიექტების მიერ. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს როგორც სტუდენტის უფლებების დაცვის, ასევე ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სანდოობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების 25-ე მუხლი სამაგისტრო ნაშრომის გასაჩივრებას ეხება, სადაც მითითებულია, რომ სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე დაწეროს განცხადება/საჩივარი შედეგის გამოცხადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, სტუდენტის საჩივრის მიღების შემდეგ, მოწმდება საჩივრის დასაშვებობა - საჩივარი ექვემდებარება თუ არა

დაშვების პირობებს. საჩივარი დასაშვებია, თუ დაცულია საჩივრის შეტანის ვადა, სტუდენტის საჩივარი დასაბუთებული და არგუმენტირებულია. სტუდენტის მიერ საჩივრის ფორმალურ დასაშვებობას, ზემოთმოცემულ კრიტერიუმებთან მიმართებით, ამოწმებს დაწესებულების ადმინისტრაციული ერთეულის (სამართლის სკოლის) წარმომადგენელი და შემდგომ გადადის სხვა საფეხურებზე კერძოდ: 25-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის ფორმალურად დასაშვებად ცნობის შემდეგ, სტუდენტის საჩივარი 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ხელახლა განსახილველად გადაეცემა იმავე დაცვის კომისიას, რომელმაც უკვე განახორციელა ნაშრომის პირველადი შეფასება და მიიღო საბოლოო აკადემიური გადაწყვეტილება. აღნიშნული მიდგომა არსებითად აყენებს ეჭვქვეშ გასაჩივრების მექანიზმის ობიექტურობასა და ეფექტიანობას. დებულების თანახმად, დაცვის კომისია დეტალურად ეცნობა სტუდენტის საჩივარს და პასუხობს საჩივრის თითოეულ კითხვას. დაცვის კომისია უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება, რაც უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული. დაცვის კომისიის წერილობითი დასკვნა სტუდენტს ეცნობება (მ.შ. ელექტრონულად) გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. დაცვის კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დებულებაში არ არის დაკონკრეტებული და ზუსტად გაწერილი ის თუ კონკრეტულად რას ამოწმებს იმავე დაცვის კომისია. კერძოდ: დაცვის პროცედურას, რამდენად დებულებითა და კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით წარიმართა სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, თუ შინაარსობრივად რამდენად ექვემდებარება სისწორეს დაცვის კომისიის მიერ დაწერილი შეფასება. აღნიშნული საკითხი იწვევს ბუნდოვანებას, რადგან გარდა იმისა, რომ ეჭვქვეშ დგება გასაჩივრების ობიექტურობა და ეფექტიანობა, არ არის თვალსაჩინო იმავე კომისიის უფლებამოსილება.

აკადემიური და სამართლებრივი შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გასაჩივრების ინსტიტუტის არსი მდგომარეობს არა პირველადი გადაწყვეტილების გამეორებაში, არამედ მის დამოუკიდებელ გადახედვაში. იმავე დაცვის კომისიის მიერ ნაშრომის ხელახლა განხილვა (ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე, მაგ., სააპელაციო კომისიის) ქმნის მინიმუმ „დადასტურებითი მიკერძოების“ (confirmation bias) რისკს, ვინაიდან კომისიის წევრებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ პროფესიული პოზიცია სტუდენტის ნაშრომისა და დაცვის პროცესის შესახებ. ასეთ ვითარებაში, კომისიისგან ობიექტურად განსხვავებული შეფასების მოლოდინი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი ადმინისტრაციული პროცედურის ძირითად პრინციპებს.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იგივე კომისიის მიერ ნაშრომის ხელახლა განხილვას, რის შესახებ კითხვები ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების წარმომადგენლებს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დაუსვა. დაწესებულების წარმომადგენლებისა და აკადემიური პერსონალის მიერ არგუმენტად მოყვანილია ის გარემოება, რომ დაცვის პროცესში ფასდება არა მხოლოდ ნაშრომის შინაარსი, არამედ სტუდენტის პრეზენტაციის ხარისხი, არგუმენტაციის უნარი და პრეზენტაბელურობა (აღნიშნული შეფასების ფორმა და კრიტერიუმები გაწერილია დებულებით), რაც თითქოს ამართლებს იმავე კომისიის მიერ ნაშრომის ხელახალ განხილვას. თუმცა, აღნიშნული არგუმენტი ვერ აბათილებს იმ ფაქტს, რომ გასაჩივრების ეტაპზე შეფასების საგანი უნდა იყოს არა დაცვის პროცედურის ხელახალი განმეორება, არამედ ნაშრომის დაცვის პროცესში

დაშვებული პროცედურული დარღვევების გამოვლენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აკადემიური ნაშრომის საბოლოო შეფასებაზე.

განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ დებულების მიხედვით, დაცვის კომისიის მიერ საჩივრის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას. ასეთ პირობებში, როდესაც აპელაციას კვლავ იგივე კომისია განიხილავს, გასაჩივრების მექანიზმი კარგავს თავის არსებით შინაარსს და ფორმალურ პროცედურად იქცევა, რაც სტუდენტის აკადემიური უფლებების დაცვის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომის გასაჩივრების მექანიზმი საჭიროებს არსებით გადახედვას. კერძოდ, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები. დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმს/ორგანოს/კომისიას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეაფასოს დაცვისა და შეფასების პროცესის კანონიერება და პროცედურული სამართლიანობა, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი შესაძლოა საკითხი დაუბრუნოს თავდაპირველ დაცვის კომისიას ხელახალი განხილვისთვის. ეს მიდგომა გააძლიერებს შეფასების ობიექტურობას, გაზრდის სტუდენტთა ნდობას აკადემიური სისტემის მიმართ და სრულ შესაბამისობაში იქნება აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ სამართლიანი შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან.

ინტერვიუს დროს სტუდენტებს კითხვები დაესვათ მათ მიერ შეფასების, არამხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის, არამედ ზოგადად შუალედური, დასკვნითი შეფასების გასაჩივრების წესის შესახებ და მათ აღნიშნეს, რომ იციან აღნიშნული მექანიზმის შესახებ. ამასთან, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ გაუსაჩივრებია ლექტორის შეფასება და შემდგომ მიღებული ქულით კმაყოფილი აღმოჩნდა. ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სტუდენტებისათვის მარტივად ხელმისაწვდომია შეფასებები, ლექტორთან კომუნიკაცია, განცხადების დაწერაც სრულად შესაძლებელია. ამასთან, სემესტრის ბოლოს, სტუდენტების მიერ ხდება ლექტორების გამოკითხვა, ასევე მათი კმაყოფილების კვლევა, რომელიც შემდგომ მიზნად ისახავს სტუდენტების შეფასებისა და შედეგების შესაბამისად საკითხის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა რეცენზენტების მიერ შემუშავებული რამდენიმე დასკვნა, რათა შეგვედარებინა დასკვნების ფორმატი და სტრუქტურა სამაგისტრო დებულებით განსაზღვრული ფორმატისთვის. რეცენზენტის დასკვნის ფორმატი თან ერთვის მაგისტრატურის დებულებას დანართი N3-ის სახით. რეცენზენტის დასკვნა უნდა მოიცავდეს:

- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა
- კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები

- შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა
- თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მოძიებისა და გამოყენების კოეფიციენტი
- ნაშრომში კვლევის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციების ხარისხი
- გამოყენებული ლიტერატურის სიახლე და მრავალფეროვნება
- გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურის ინდექსი;
- ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა

წარმოდგენილი რეცენზიების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია დანართი N3-ის მოთხოვნები როგორც დასკვნის ფორმატთან, ისე ზემოთ მოცემულ 8 კომპონენტთან მიმართებით. მაგალითად, ერთ-ერთ დასკვნაში არ არის მოცემული ფორმატით განსაზღვრული რეკვიზიტები (მაგ.: უნივერსიტეტის ლოგო, სამართლის სკოლის ლოგო), ხოლო დასკვნის სტრუქტურის ნაწილში გამოტოვებულია „შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურის“ კომპონენტი.

რეცენზენტების დასკვნები მოცულობითაც არაერთგვაროვანია. ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულწილად ისახება არგუმენტირებული და ანალიზური ნაწილის სიმწირე, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს დაბნეულობა და გაურკვევლობა შეფასების ქულასთან მიმართებით. სასურველია რეცენზენტის დასკვნა იყოს დეტალური, მკაფიო, არგუმენტირებული და ანალიზური, ნათლად ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების კომპონენტებით განსაზღვრულ ნაწილებს.

და ბოლოს, მაგისტრატურის დებულებაში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზები, რაც გარკვეულწილად დოკუმენტის შინაარსობრივ ბუნდოვანებასაც იწვევს. ასეთი ტექნიკური ხარვეზები ფიქსირდება მე-17 მუხლის მე-8 პუნქტში, მე-20 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში, 21-ე მუხლის მე-8 პუნქტში, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში. სასურველია გასწორდეს ხსენებულ პუნქტებში მოცემული ტექნიკური უზუსტობები.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი, რაც ზღუდავს სასწავლო კურსების შინაარსის, სილაბუსებისა და სასწავლო მასალების შესაბამისობის სრულფასოვან გადამოწმებას პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს თანახმად, აღნიშნული დოკუმენტაცია საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება";
- "სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი";
- გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომები;
- გამოთხოვილი რეცენზიები;
- ხელმძღვანელის დასკვნები;
- https://www.cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობიდან ამოიღოს რეცენზენტი, როგორც კომისიის წევრი.

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.

- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში გასწორდეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით.

- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად განიმარტოს ვინ იგულისხმება მეცნიერ-ხელმძღვანელში, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანებას იწვევს.

- რეკომენდებულია რეცენზიის მომზადებისას ზედმიწევნით დაცული იყოს მაგისტრატურის დებულების დანართ N3-ით განსაზღვრული ფორმატი და სტრუქტურა.

- რეკომენდებულია დაწესებულებამ საჯაროდ განათავსოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი კავკასიის უნივერსიტეტის გვერდზე იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში გარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, შედიოდნენ ასევე - გარე ექსპერტები.

- სასურველია, მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად გაიწეროს და განისაზღვროს აპელაციის საგანი (მაგ.: პროცედურული დარღვევები; შეფასების არგუმენტირებულობა; კრიტერიუმებთან შესაბამისობა) და კომისიის უფლებამოსილება.

- სასურველია, გასწორდეს სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში არსებული ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ტექსტის შინაარსობრივ ბუნდოვანებას იწვევენ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისი

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მხარდაჭერით, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობით უნდა ითქვას რომ სტუდენტების კმაყოფილება საკმაოდ თვალსაჩინოა. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულების მხრიდან, სისტემატიურად ხდება საჭირო ინფორმაციის მიწოდება და მათთვის დახმარების გაწევა. ამასთან, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იმისათვის რომ სამაგისტრო საფეხურზე, სტუდენტების შეფასება მეტად გაუმჯობესდეს, აპირებენ მენტორინგის დამატებას, რომლის საშუალებითაც, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ საჭირო საკითხები მაქსიმალურად დააზუსტონ, გაიარონ კონსულტაცია, რათა მათი შეფასებაც და ნაშრომის ხარისხიც მეტად მაღალი იყოს.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი კმაყოფილება ნამდვილად მაღალია. ისინი აღნიშნავენ, რომ დასაქმებულნი არიან თავიანთი პროფესიით, მათ დაწესებულების დასრულების შემდეგ ჰქონდათ კარიერული წინსვლა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც სისტემატიურად უზიარებს სტუდენტებს არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაციას. გამოკითხვებში აღნიშნულიც დაფიქსირებულია, სადაც მითითებულია, რომ კომპანიის მიერ მითითებული პირობები/მოთხოვნები, სრულად შესაბამისი იყო ვაკანსიის აღწერილობასთან.
დაწესებულება სისტემატიურად სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა სახის კონფერენციებს, საჯარო ლექციებსა და სხვადასხვა აქტივობებს, რის საშუალებითაც სტუდენტებს საშუალება აქვთ მეტად გაიღრმავონ ცოდნა და პრაქტიკული მიმართულებით განვითარდნენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- https://www.cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	სრულად შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების "სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების" მე-16 მუხლის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის თემისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სასწავლო კომპონენტის 80 ECTS კრედიტის ამოწურვის შემდეგ. ამასთან, მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომელშიც აირჩია სპეციალიზაციის მოდული. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევას სტუდენტი ახდენს ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ მენეჯერთან უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო თემის განაცხადი (თემის სათაური, თემის სტრუქტურა დებულების დანართი N1-ს შესაბამისად), ხელმძღვანელის CV და ხელმძღვანელის სარეკომენდაციო დასკვნა.
იმავე დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად, მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს:

ა. სამართლის დოქტორის ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი;

ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სამართლის დოქტორი;

გ. აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი

სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია სულ მცირე ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება იმ ქვედარგში/ვიწრო სპეციალობით, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი. ამასთან, სამეცნიერო ხელმძღვანელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომი/სტატია იმ ქვედარგში, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ უმეტესს მათგანს ჰქონდა გამოცდილება ხელმძღვანელობის. ამასთან, მათ აღნიშნეს სტუდენტებისა და დაწესებულების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. იმავე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, რომლის დროსაც შესაძლებელია სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის ცვლილება. კერძოდ: მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არაუგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.

სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექტირებაში, პერიოდულად მისცეს განმავითარებელი შეფასება. ამ ნაწილში, დაწესებულებამ რეაგირების მიზნით აღნიშნა, რაც

ასევე გამოკითხვის ანალიზში აქვს დაფიქსირებული, რომ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა ევალება ხელმძღვანელს. გარდა ამისა, სტუდენტები გამოკითხვის შედეგად, მათ შეფასებასა კმაყოფილება/უკმაყოფილებას აღნიშნავენ მათი ხელმძღვანელების შესაბამისად. აღსანიშნავია, გამოკითხვებში ფიქსირდება გაზრდილი კმაყოფილების მაჩვენებელი, რადგან თუ მანამდე სტუდენტების უკმაყოფილება ძირითადად მიმართული იყო ხელმძღვანელის მხრიდან არადამაკმაყოფილებელ ჩართულობაზე, აღნიშნული უკმაყოფილება საგრძნობლად შემცირებულია.

ნაშრომის დასრულების შემდეგ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) ადგენს სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა. ნაშრომის დასახელებას;

ბ. ავტორის ვინაობას;

გ. ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;

დ. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით;

ე. ნაშრომისათვის დაცვაზე რეკომენდაციის მიცემა/არ მიცემის დასაბუთებას

როგორც აღინიშნა, დაწესებულებამ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაამატა მენტორინგის მიმართულება, რომლის გათვალისწინებითაც, კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან სამაგისტრო ნაშრომის საჯარო (კომისიის წინაშე) დაცვამდე მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს კონსულტაციები მენტორთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი იღებს გადაწყვეტილებას იმ პირთა შესახებ, რომლებიც ჩართულნი იქნებიან მაგისტრანტების საკონსულტაციო/მენტორულ საქმიანობაში. ამასთან, მაგისტრანტის მენტორი ვალდებულია სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს შეხვდეს სამჯერ (1- 1 საათით, სულ 3 საათი). მენტორის მაგისტრანტებთან შეხვედრის ცხრილს, დროს, განრიგს ადგენს პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი მენტორთან/მენტორებთან შეთანხმებით. მენტორი ვალდებულია, მაგისტრანტებს მისცეს რჩევები კვლევითი ნაშრომის დიზაინის, სტრუქტურის, კვლევის მეთოდების, ციტირების წესისა და წერის აკადემიური სტანდარტების შესახებ. სასურველია, როგორც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შემთხვევაში გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მენტორის შემთხვევაშიც წინასწარ იყოს მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად გაწერილი, რის მიხედვითაც ისინი აირჩევიან, რადგან აღნიშნული ჩანაწერი დებულებაში ბუნდოვანებას ტოვებს.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს დაწესებულების მხრიდან დროული რეაგირების მექანიზმის არსებობა, რადგან შეფასებების შესაბამისად, გაუმჯობესებულია ხელმძღვანელებთან დაკავშირებით სტუდენტების მიერ წამოყენებული ყველა უკმაყოფილება. ამის გამოსასწორებლად, დაწესებულებამ დაამატა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი, რომლის საშუალებითაც, სტუდენტები დამატებით მიიღებენ ინფორმაციას კვლევის, მისი მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც საბოლოოდ ჯამში დიდწილად დაეხმარება მათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**22**
მაგისტრანტების რაოდენობა	**94**
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**1/4.27**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება"
- ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგები;
- ხელმძღვანელის რეზიუმეები;
- ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- რეცენზიები;
- https://www.cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად გაიწეროს მენტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	სრულად შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი				
- ასოცირებული პროფესორი				

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულების თანახმად, მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს: ა) სამართლის დოქტორის ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი; ბ) პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სამართლის დოქტორი; გ) აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია სულ მცირე

ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება იმ ქვედარგში/ვიწრო სპეციალობით, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) სტუდენტს ეხმარება თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვას შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება სტუდენტს მის კორექტირებაში, პერიოდულად გასცემს განმავითარებელ შეფასებას.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელების რეზიუმეები. გამოთხოვილი დოკუმენტების თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელებად მოაზრებულია სულ 22 პირი, რომელთაგან 11 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს (მათ შორის: 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი), ხოლო 11 - მოწვეულ პერსონალს. დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხი მოპოვებული აქვს 21 სამეცნიერო ხელმძღვანელს. სამეცნიერო ხელმძღვანელების წარმოდგენილი CV-ების მიხედვით, უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 3 პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაგისტრანტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამეცნიერო ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს უფიქსირდებათ შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები, სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების საერთო რაოდენობა შეადგენს 220-ს, რომელთაგან 79 გამოქვეყნებულია საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ სამეცნიერო ჟურნალებში. ამავე პერიოდში სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჯამურად შეადგენს 134-ს, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ფიქსირდება 85-ჯერ. დამატებით, სხვა მნიშვნელოვან სამეცნიერო/კვლევით მაჩვენებლად აღსანიშნავია პერსონალის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში, კერძოდ, პერსონალი მონაწილეობს 20-ზე მეტ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტსა და საგრანტო პროგრამაში.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**22**	**21**	**3**
- პროფესორი	*5*	5	3

- ასოცირებული პროფესორი	5	5	0
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	0
მოწვეული პერსონალი	11	10	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	სრულად შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.4. მატერიალური რესურსი]	აირჩიეთ შესაბამისი

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პროცესების წარმმართველია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები და საქმიანობის წესები განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიით, აგრეთვე უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებით. უნივერსიტეტში დანერგილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია აღწერილია დოკუმენტში "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება".

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების ხარისხის უზრუნველსაყოფად დანერგილია ე.წ. PDCA ციკლის („დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-გააუმჯობესე") პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის სისტემურ გაუმჯობესებას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა სწორედ PDCA ციკლის პრინციპებსა და „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების რეგულაციას" ეფუძნება. საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავება; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობა; სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერა; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროგრამების, უნივერსიტეტის სერვისებისა და ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება; სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური რესურსების შეფასება; მატერიალური ბაზის, ტექნიკური აღჭურვილობის და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის შეფასება; გამოკითხვების ორგანიზება, მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

კვლევითი კომპონენტის შეფასება ეფუძნება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რესურსებს, მათი ჩართულობის, პროდუქტიულობისა და საერთაშორისო ხილვადობის მაჩვენებლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სისტემურად აფასებს კვლევითი პროექტების, გრანტების, პუბლიკაციების, კონფერენციების, სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში ჩართულობისა და სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, რაც მიუთითებს კვლევითი პროცესის განვითარებაზე და მისი შედეგების გამოყენებადობაზე.

სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი მექანიზმები: 1) სასწავლო პროცესის მონიტორინგი; 2) სტუდენტების მიერ ლექტორთა სემესტრული შეფასება; 3) დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) გამოკითხვა ზოგად კმაყოფილებასა და საგანმანათლებლო პროგრამებთან და პროცესებთან მიმართებით; 4) საგანმანათლებლო მიზნებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასება. ამასთან, უნივერსიტეტი მუდმივად აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებს, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის შესწავლის შედეგებს, ანალოგ პროგრამებსა და საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილებებს.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შეფასებას, სამაგისტრო და სადოქტორო თემების ხელმძღვანელების შეფასებას. მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს პერმანენტულად ეგზავნებათ გამოკითხვის კითხვარები ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების მიზნით. შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და რჩევებს. გარდა სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასებისა, სტუდენტები აფასებენ ადმინისტრაციულ რესურსებსა და მხარდამჭერ სერვისებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო თუ კვლევით პროცესთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თუ რამდენად გამართულად მუშაობს უნივერსიტეტის სერვისები და შიდა მარეგულირებელი აქტები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესწავლის მიზნით გამოითხოვა რიგი დოკუმენტები, მათ შორის, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, რეცენზიები და დაცვის კომისიის შეფასებები. ხსენებული მასალების შესწავლისას გამოიკვეთა რიგი ხარვეზები (მაგ., მაგისტრატურის დებულებაში), რომლებიც აღწერილია 2.4 კომპონენტში. ასევე, გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეფასების მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა უნივერსიტეტში ფორმალურად გამართულია და მოიცავს მკაფიო კრიტერიუმებს (თემის აქტუალურობა, სტრუქტურა და აკადემიური წერა, მეთოდოლოგია, შედეგები და ა.შ.), თუმცა მნიშვნელოვანია სრულად იყოს

უზრუნველყოფილი შეფასების შინაარსობრივი თავსებადობა წინასწარ გაწერილ ქულობრივ სისტემასთან, რაც მოიაზრებს იმას, რომ ნებისმიერი ტექსტუალური შეფასება ასახავდეს იმავე ხარისხობრივ სურათს, რაც ქულებშია გამოხატული. ხარისხის შიდა კონტროლის მიზნით, მნიშვნელოვანია დაინერგოს შეფასების შიდა ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც გადაამოწმებს: ა) დაცულია თუ არა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურული ნაწილი, ბ) არის თუ არა შეფასება ლოგიკურად არგუმენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დებულება "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება";
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების რეგულაცია";
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრები ანალიზი;
- სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება;
- რეცენზენტების დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#)

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეფასების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შეფასების შინაარსობრივი და ქულობრივი კომპონენტების შესაბამისობის, შეფასების ლოგიკური და არგუმენტირებული დასაბუთების, ასევე დაცვისა და აპელაციის პროცედურული ნაწილის გამართული ფუნქციონირების შეფასებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება](#)	სრულად შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ქრისტინე ჩიხლაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

გიორგი ამირანაშვილი

ლიანა ზაგაშვილი